



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი • TBILISI

2019

M RAVALTAVI

Philological and Historical
Researches

Published since 1971

26

ქართული
რეალთაუკი

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიგანი

გამოდის 1971 წლიდან

„მრავალთავის“ 26-ე ტომში წარმოდგენილია ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ხასიათის, ხელნაწერი წიგნის ხელოვნებისა და ისტორიის და სხვ. სამეცნიერო კვლევები, რომლებიც ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს ეხება; აგრეთვე, წარმოდგენილია ინფორმაცია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 2017-2019 წლების გამოცემების შესახებ.

სარედაქციო კოლეჯია

ცისანა აბულაძე, ზაზა ალექსიძე (მთავარი რედაქტორი),
დარეჯან კლდიაშვილი, ნინო მელიქიშვილი,
თამარ ოთხმეზური, მაია რაფავა, მზია სურგულაძე, ეთერ ქავთარაძე,
დავით შენგელია (პასუხისმგებელი მდივანი)

ტომის რედაქტორები: მზია სურგულაძე, დავით შენგელია

EDITORIAL BOARD

Tsisana Abuladze, Zaza Alexidze (editor-in-chief), Darejan Kldiashvili,
Nino Melikishvili, Tamar Otkhmezuri, Maia Raphava, Mzia Surguladze,
Eter Kavtaradze, David Shengelia (Executive Secretary)

Editors of the volume: Mzia Surguladze, David Shengelia

ISSN 0234-7385 („მრავალთავი“)

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2019

შინაარსი

ფილოლოგია

ხათუნა გაფრინდაშვილი

საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული პალიმფსესტი (Par.Geo.5).....17

ლია კიკნაძე

ბერძნულ-ქართული ხელნაწერის ქართული ტექსტები31

მაია მაჭავარიანი

წმ. დიმიტრი თესლონიკელის „წამების“ ბერძნული რედაქციები და მათი დათარიღების ინტერპრეტაციისათვის 52

ნინო მელიქიშვილი

წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის მიძინების ჰომილიების ქართული თარგმანების ურთიერთიმართება და მათი ბერძნული წყარო 64

ნათია ნაცვლიშვილი

დავით გარეჯელისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო მსახურების წეს-განგება A-160-ის მიხედვით..... 85

თამარ პატარიძე

პალესტინაში არაბული და სირიული ენიდან შესრულებული თარგმანები94

მაია რაჭავაძე

ტაო-კლარჯეთიდან ათონამდე, ათონიდან გელათამდე (ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობათა კონტექსტში) 114

ლაშა ტყეშელაშვილი

წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელით ცნობილი ასკეტური ძეგლი „სიტყვებისათვის ვნებათაჲსა“ და მისი ექვთიმე ათონელისეული თარგმანი 127

დავით შინგალია

დანუსხვა – ძველი ქართული სიტყვა..... 139

ნესტან ჩხიკვაძე

ევსები კესარიელის კანონი IX-X საუკუნეების ქართულ ოთხთავებში 159

კახა შჩერბაქოვი

ადრეული ცნობები წმინდა გიორგის შესახებ და მისი კულტის ასახვა „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ 168

ისტორია – წყაროთმცოდნეობა

ზაზა ალექსიძე	
არსენი ვაჩეს ძე.....	193
ხათუნა ბაინდურაშვილი	
ირანის ადმინისტრაციული პოლიტიკა და აღმოსავლეთ	
საქართველო (XVII-XVIII სს.).....	205
თამარ მესხი	
ჩვენთვის უცნობი ქართული ძეგლი საბერძნეთში („პანალია ტორნიკი“).....	221
მზია სურგულაძე	
ტაო-კლარჯეთის კულტურული ტენდენციები და ბიზანტიური სამყარო.....	230
თეა ქართველიშვილი	
სასისხლო პრივილეგიების პოლიტიკური არსი იმერთა მეფე	
ბაგრატ III-ის ზეობისას.....	248
ვიქტორ ჩხაიძე, ანდრეი ვინოგრადოვი, შოთა გუგუშვილი	
აინახვის წმ. გიორგის მონასტრის XI საუკუნის ქართული ბეჭედი.....	271

ხელნაწერი წიგნის ხელშეწობა

მანია კარანაძე	
მინიატიურისა და ტექსტის ურთიერთმიმართების საკითხისათვის	
ქართულ ფსალმუნში.....	279
როსტომ კაჭანიძე	
დეკანოზ ალექსი მესხიშვილის მოხატული ხელნაწერი წიგნები.....	297

ხელნაწერი წიგნის ისტორიიდან

ია ბაჩყალიძე	
ქართველ ქალთა მნიგნობრულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა ძველ	
საქართველოში (გადამწერი ქალი მეფეთ-მეფისა ასული ასთანდარ).....	311
ია ბაჩყალიძე	
მარტვილის სამონასტრო წიგნსაცავი.....	318
აკოლონ თაბუაშვილი	
კიდევ ერთხელ წიგნის ღირებულების შესახებ (XI-XVIII სს.).....	332
თამარ ოთხმეხური	
ანტიოქიის რეგიონის ქართული მნიგნობრული პროცესების	
რეკონსტრუქციისათვის – „კნინოდენითა გემოჲსხილვითა გიჩუენოთ	
გემოჲ მდინარისა დიდისა“	350
დალი ჩიტუნაშვილი	
წიგნის შექმნის ისტორია შუა საუკუნეებში (ერთი სინური ხელნაწერის	
O/Sin.Geo-6-ის მაგალითზე).....	378

წყაროთა კვლევის მეთოდოლოგია

თამარ აბულაძე

სამეცნიერო შინაარსის ხელნაწერები: ინტერდისციპლინური კვლევა,
შედეგები და პერსპექტივები..... 388

ქსამა მანია

ილია ჭავჭავაძის პირად არქივში დაცული უბის წიგნაკების
აკადემიურ გამოცემასთან დაკავშირებული პრობლემები 406

რესტავრაცია-კონსერვაცია

ივოლდა ჯიქიძე, რევაზ კლდიაშვილი, შორენა თავაძე

წიგნსაცავის მიკოფლორის შესწავლისათვის (კორნელი კეკელიძის
სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავების მაგალითზე)..... 424

ჰუბარტ კაუფჰოლდი

ქართველოლოგიური კვლევის ისტორია გერმანიაში 433

მეცნიერების ისტორიიდან

ნუგზარ პაპუაშვილი

გრიგოლ ფერაძე – სოლომონის „ქებათა ქების“ მთარგმნელი და
კომენტატორი..... 476

ლიანა სამყურაშვილი

ორიენტალისტთა მოღვაწეობა კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში 60 წლის განმავლობაში..... 488

ლელა შათირიშვილი

სოლომონ იორდანიშვილი – ქართული ხელნაწერების მკვლევარი 521

რეცენზია

ქეთევან გიგაშვილი

რეცენზია ლია კიკნაძის მონოგრაფიაზე, „ვასილ ჭილაძე
– ახალი სახელი ქართულ ლექსიკოგრაფიაში“ 528

თამარ ოთხგეგუში

ქართული პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში 535

მეცნიერის არქივიდან

ცაცა ჭანკიევი

სვანური ფრაგმენტების აღწერილობა 538

ელენე ჩაგელიშვილი

ქრისტიანე შარაშიძის „ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური
განწყობილება“ 546

მოგონება

ელენე მაჭავარიანი

ედგენება ხელნაწერთა ინსტიტუტის – ამჟამად კორნელი კეკელიძის
სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის – დამაარსებლისა და მისი
პირველი დირექტორის – ილია აბულაძის ნათელ სსოვნას 572

გასსენება

დოქტორი ანდრეა შმილტი

დოქტორი პეტერ ჰალფტერი..... 585

ლალი ჯღამია

მანანა დოლაქიძე..... 589

მზია სურგულაძე

მეგობრის სსოვნას 591

2017-2019 წლების გამომცემები..... 597

CONTENTS

PHILOLOGY

KHATUNA GAPRINDASHVILI

Georgian Palimpsest Kept in the National Library of France (Par.Geo.5).....17

LIA KIKNADZE

The Georgian Texts of the Greek-Georgian Manuscript.....31

MAIA MATCHAVARIANI

On the dating of the Greek Editions of St. St. Demetrios "Martyrdom"52

NINO MELIKISHVILI

The Interrelationship between the Georgian Translation of St John of Damascus'
Homily on the Dormition and its Greek Source.....64

NATIA NATSVLISHVILI

The Festal Typikon Dedicated to David Garejeli According to MS A-160.....85

TAMARA PATARIDZE

Palestinian translations: from Arabic and Syriac to Georgian.....94

MAIA RAPAUA

From T'ao-K'larjeti to Athos, from Athos to Gelati (In the Context of
Georgian and Armenian Relations).....114

LASHA TKEBUCHAVA

Ascetic Text Talking Back on Passion Attributed to St Maximus the Confessor
and its Translation by Euthymios Hagiorites.....127

DAVID SHENGELIA

Danuskhva – an old Georgian word.....139

NESTAN CHKHIKVADZE

Canon of Evsebi of Caesarea In 9th-10th Century Georgian Gospels.....159

KAKHA SHCHERBAKOV

Early Sources Concerning Saint George and the Reflection of His Cult
in the Life of Grigol Khandzteli168

HISTORY – SOURCE CRITICISM

ZAZA AKEKSIDZEA

Arseni vaches-dze.....193

KHATUNA BAINDURASHVILI

Iran's Administrative Policy and Eastern Georgia (17th-18th Centuries).....205

TAMAR MESKHI

Unknown Georgian Monument in Greece ("Panagia Tornikiu").....221

MZIA SURGULADZE

Cultural Tendencies of T'ao-Klarjeti and the Byzantine World.....230

THEA KARTVELISHVILI	
The Political Essence of Blood Privileges under King Bagrat III.....	248
VICTOR CHKHAIDZE, ANDREI VINOGRADOV, SHOTA GUGUSHVILI	
An 11 th Century Georgian Seal of St George Monastery in Ainakhvi.....	271
ART OF BOOK MANUSCRIPT	
MAIA KARANADZE	
On Correlation of the Miniature and the text in the Georgian Psalm.....	279
ROSTOM KACHAKHIDZE	
An Unknown Work by ‘Grigol the Painter’ (Meskhishvili) 17 th -18 th cc.....	297
FROM THE HISTORY OF THE BOOK MANUSCRIPT	
IA GACHECHILADZE	
The Literary and Educational Work of Georgian Women in Medieval Georgia.....	311
IA GACHECHILADZE	
The Monastic Library of Martvili.....	318
APOLON TABUASHVILI	
Once Again Concerning the Price of Books (11 th -18 th cc).....	332
THAMAR OTKHMEZURI	
Toward the Reconstruction of Georgian Scholarly Activity in the Antioch Region – "a sip is sufficient to know the taste of water of a great river".....	350
DALI CHITUNASHVILI	
The History of Book Production (Based on the Example of One Sinaitic Manuscript O/Sin.Geo-6).....	378
METHODOLOGY OF THE SOURCE STUDY	
TAMAR ABULADZE	
Scientific Manuscripts: An Interdisciplinary Study, Results and Perspectives.....	388
ESMA MANIA	
Problems Associated with the Academic Edition of Notebooks in Ilia Chavchavaze’s Private Archive.....	406
RESTORATION-CONSERVATION	
IZOLDA JIKIDZE, REVAZ KLDIASHVILI, SHORENA TAVADZE	
Toward the Study of the Microflora of the Book Repository.....	424
HUBERT KAUFHOLD	
History of Kartvelology in Germany.....	433
FROM THE HISTORY OF SCIENCE	
NUGZAR PAPUASHVILI	
Grigol Peradze – Translator and Commentator of the Song of Solomon.....	476

LIANA SAMKURASHVILI	
Sixty Years of Work of Orientalists at K. Kekelidze National Centre of Manuscripts of Georgia.....	488
LELA SHATIRISHVILI	
Solomon Iordanishvili – Researcher of Georgian Manuscripts.....	521
REVIEW	
KETEVAN GIGASHVILI	
Review on Lia Kiknadze’s Monograph “Vasil Tchiladze – a New Name in Georgian Lexicography”	528
THAMAR OTKHMEZOURI	
The Georgian Palimpsests Preserved in National Center of Manuscripts.....	535
FROM THE ARCHIVES OF THE SCIENTIST	
TSIALA CHANKIEVI	
Description of Svan Fragments	538
ELENE CHAGELASHVILI	
‘The Political Attitude of Nikoloz Baratashvili’ by Kristine Sharashidze	546
REMEMBERING	
ELENE MATCHAVARIANI	
In Memoriam of Ilia Abuladze, the Founder and the First Director of the Institute of Manuscripts, currently National Center of Manuscripts.....	572
ANDREA SCHMIDT	
Dr. Peter Halfter.....	585
LALI JGHAMAIA	
Manana Dolakidze	589
MZIA SURGULADZE	
Remembering a Friend.....	591
2017-2019 PUBLICATIONS	597

ხელნაწერთა ძირითადი საცავები საქართველოში

შემოკლებები

- ბიეშ** სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
- სცსა** საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (საქართველოს ეროვნული არქივი)
- სიეშ** სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
- საჰიშ** ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
- ქიეშ** ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
- ხმ** შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
- ხეც** კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ყოფილი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი)
- ზიამ** ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი

სათუნა გაზრინდაშვილი

საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული პალიმფსესტი (Par.Geo.5)

საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცულია ერთი საინტერესო ხელნაწერი (Par.Geo.5), რომელიც მარხვანს წარმოადგენს და XI, XII და XIII საუკუნეებით თარიღდება. ხელნაწერი მთლიანად ეტრატია და 292 ფურცლისგან შედგება. ხელნაწერის ზომა 275×130 მმ-ია, ტექსტი ნაწერი ნუსხურად ყავისფერი და შავი მელნით, ზოგ ადგილას მელანი გადასულა და შავი მელნით აღუდგენიათ; სათაურები და საზედაო გრაფემები წითელი მელნით, ასომთავრულით არის შესრულებული.

Par.Geo.5 ხელნაწერი ნაკლულია დასაწყისსა და ბოლოში. შემორჩენილია 38 რვეული: თითოეული რვეული 8-ფურცლიანია, იწყება მეორე რვეულით (ხელნაწერს დასაწყისში 8 ფურცელი, ანუ პირველი რვეული აკლია), რვეულებრივი აღრიცხვა გვხვდება რვეულის ბოლო გვერდზე – ქვედა არშიაზე ცენტრში ყავისფრად ნაწერი ასომთავრული გრაფემა ქარაგმით. ხუთი რვეულის შემდეგ აღრიცხვა წყდება და ისევ აღდგება 80v-დან, რომელზეც მეთერთმეტე რვეულის დასასრული აღინიშნება. 81-ე გვერდიდან ბოლომდე ხელნაწერში რვეულებრივი სათვალავი სრულად არის წარმოდგენილი იმ განსხვავებით, რომ დანომრილია რვეულის დასაწყისი (ფურცლის ზედა არშიაზე შუაში) და რვეულის დასასრული (ფურცლის ქვედა არშიაზე შუაში). როგორც აღვნიშნეთ, თითოეული რვეული 8-ფურცლიანია, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 9-ფურცლიანი ოცდამეთერთმეტე და ოცდამეცამეტე რვეულები, 6-ფურცლიანი ოცდამეცხრე რვეული (217r-222v), რომლის ეტრატის ხარისხიც განსხვავდება ძირითადი ხელნაწერისგან და ბოლო ოცდამეთერთმეტე რვეული, რომელიც ნაკლულია და მხოლოდ ოთხი ფურცელია შემორჩენილი. ამ მონაცემების გათვალისწინებით ხელნაწერი სულ ცოტა 304-ფურცლიანი უნდა ყოფილიყო. ხელნაწერის 75 ფურცელი პალიმფსესტს წარმოადგენს. პალიმფსესტური ფურცლების ქვედა ფენაში სამი ხელნაწერი გამოიყოფა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარხვანი სამი სხვადასხვა ნაწილისაგან შედგება. ხელნაწერის პირველი ნაწილი (ფფ. 1-216) შეიცავს გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ მარხვანს. ე. თაყაიშვილი ხელნაწერს XI საუკუნით ათარიღებს და

აღნიშნავს, რომ იგი თვით გიორგი მთაწმიდელის ზედამხედველობით უნდა იყოს გადანერილი და ბოლოში ანდერძი გიორგის ხელით არის დანერილი¹. სამეცნიერო ლიტერატურაში Par.Geo.5 ხელნაწერის პირველი ნაწილი გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფად არის მიჩნეული².

ხელნაწერის მეორე ნაწილი ერთი რვეულისგან შედგება (ფფ. 217-222) და წარმოადგენს პირველი ნაწილის გაგრძელებას. ექ. თაყაიშვილის აზრით, აღნიშნული ტექსტი თარგმნილი უნდა იყოს დავით აღმაშენებლის მოძღვრის, არსენ ბერის, მიერ, რასაც ადასტურებს წითელი მელნით შესრულებული სათაური: „გალობანი მეორედ მოსვლისანი, შედარებულნი თარგმნითნი არსენი ბერისანი“³. ტექსტი იწყება ხორციელის შაბათის საგალობლებით და მთავრდება ყველიერის ხუთშაბათით. ხელნაწერის მეორე ნაწილის გადამწერი უცნობია, პალეოგრაფიულად ტექსტს XII საუკუნით ათარიღებენ.⁴

Par.Geo.5 ხელნაწერის მესამე ნაწილი (ფფ. 223-292) XIII საუკუნის წვრილი ნუსხურით არის შესრულებული და შეიცავს არსენი ბერის მიერ თარგმნილ მარხვანს ანდრია კრიტელის კანონებით. იგი არსენს უთარგმნია დავით აღმაშენებლის ბრძანებით. როგორც ანდერძიდან ჩანს, ხელნაწერის ეს ნაწილი გადანერილია ვინმე ოქროპირის მიერ: „ქრისტე ღმერთო შეინყაღე სული ოქროპირისაჲ, ამენ“ (248v)⁵.

Par.Geo.5 ხელნაწერმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ მხრივ, რომ იგი მთლიანად ეტრატია და პალიმფსესტურ ფურცლებს შეიცავს (ფფ. 217-292). ქვედა ფენის შესწავლამ, თავის მხრივ, სამი პალიმფსესტური ხელნაწერი გამოავლინა.

I პალიმფსესტური ხელნაწერის აღწერილობა:

I პალიმფსესტური ხელნაწერი 6 ფურცლისაგან შედგება (ფფ. 217-222), ნაწერი ღია ყავისფერი მელნით ლამაზი საშუალო ზომის კალიგრაფიული ნუსხურით, ზედა ტექსტთან მიმართულება 180 გრადუსია, ანუ ქვედა ხელნაწერი ზედა ტექსტთან მიმართებით თავდაქცევით არის დანერილი;

ხელნაწერის განკანონება:

სვეტების რაოდენობა – 2, სვეტის ზომა – 75 მმ, სვეტებს შორის მანძილი – 20 მმ; სტრიქონების რაოდენობა – 29, სტრიქონებს შორის მანძილი – 7 მმ; არშიები: ზედა – 20 მმ, ქვედა – 65 მმ, მარჯვენა – 45 მმ, მარცხენა – 35 მმ; გრაფემათა რაოდენობა სტრიქონში – 20/21-ია.

ტექნიკური მონაცემების გათვალისწინებით ქვედა ხელნაწერის ორიგინალი ზომა დაახლოებით 235×295 მმ უნდა ყოფილიყო. ნაკითხვის ხარისხის მიხედვით, პირობითად II-III კატეგორიით შეიძლება განესაზღვროთ. საზედაო გრაფემები

¹ თაყაიშვილი, *პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის...*, გვ. 32-35.

² იოანე მინჩხი, *პოეზია*, ხაჩიძე, გვ. 63-64.

³ თაყაიშვილი, *პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის...*, გვ. 36.

⁴ თაყაიშვილი, *პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის...*, გვ. 34-35.

⁵ თაყაიშვილი, *პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის...*, გვ. 35-40.

————— საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკის ქართული პალიმფსესტი

ასომთავრულია და ორ სტრიქონს შორის მანძილს მოიცავს. ტექსტში არ ჩანს განკვეთილობის ნიშნები; დაქარაგმებულია კავშირები და პატივის აღმნიშვნელი სიტყვები.

პალიმფსესტური ტექსტი იერუსალიმური ლექციონარის ფრაგმენტს წარმოადგენს. ტექსტი გადარეცხილია და მხოლოდ მცირე ნაწილის ნაკითხვა შევძელით. 218v-ზე შემორჩენილია წითელი მელნით ნაწერი ლიტურგიკული მითითება – „საკითხავი იობისი“. ამოვიკითხეთ დიდმარხვის ვნების კვირის დიდი შაბათი დღის მე-4 (დ) საკითხავი იონას წინასწარმეტყველებიდან – იონა 3:7-4:6 (222 r) და ამავე დღის ეზეკიელის წინასწარმეტყველების 37-ე თავის პირველი, მეოთხე და მეხუთე მუხლები და ისიც ფრაგმენტულად (220r) (**იხ. დანართი 1**).

ნაკითხული ადგილების შედარებამ ჩვენამდე მოღწეულ სხვა ლექციონარებთან ცხადყო, რომ პალიმფსესტური ფრაგმენტი X საუკუნის ლექციონარების (პარიზი, კალა) რედაქციას განეკუთვნება და მხოლოდ ვარიანტულ სხვაობას გვიჩვენებს.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ხელნაწერს პირობითად X-XI სს. ვათარილებთ.

II პალიმფსესტური ხელნაწერის აღწერილობა:

II პალიმფსესტური ხელნაწერი 9 ფურცლით არის შემორჩენილი (ფფ. 239-246, 248); ტექსტი ნაწერია ნუსხურად ღია ყავისფერი მელნით; მიმართულება ზედა ტექსტთან 180 გრადუსია;

ხელნაწერის განკანონება:

სვეტების რაოდენობა – 1; სვეტის ზომა – 160 მმ; სტრიქონების რაოდენობა – 30; აშიები: ზედა – 30 მმ, ქვედა – 60 მმ, მარჯვენა არშია მოჭრილია, შემორჩენილია 25 მმ, მარცხენა – 35 მმ; II პალიმფსესტური ხელნაწერის ორიგინალის ზომა დაახლოებით 230×280 მმ უნდა ყოფილიყო.

ტექსტი დაწერილია მარჯვნივ დახრილი ოდნავ წაგრძელებული წვრილი ნუსხურით, საზედაო გრაფემები ასომთავრულია და ორ სტრიქონს შორის მანძილს მოიცავს. შეინიშნება ხშირი დაქარაგმება. ხელნაწერი გადარეცხილია, მხოლოდ რამდენიმე სიტყვის ამოკითხვა შევძელით: „აცხებ [... ...] ცხებდ ჴორცითა შენითა, მოციქულთა ახარონ აღდგომაჲ შენი“ (241v).

II პალიმფსესტური ხელნაწერის რაობა პირობითად განვსაზღვრეთ და შემორჩენილი ფრაგმენტი საგალობელთა კრებულის ნაწილად მივიჩნიეთ. პალეოგრაფიული ნიშნების გათვალისწინებით პალიმფსესტი XI საუკუნით თარიღდება.

III პალიმფსესტური ხელნაწერის აღწერილობა:

III პალიმფსესტური ხელნაწერს Par.Geo.5-ის ხელნაწერის 61 (223-238, 247, 249-292) ფურცელი უჭირავს. ტექსტი ნაწერია ასომთავრულად აგურისფერი, შავი და წითელი მელნით (რამდენიმე ადგილას შეინიშნება ლიტურგიკული მითითება 251v, 264 r, 274r, 286r); ქვედა ხელნაწერის მიმართულება ზედა ტექსტ-

თან სხვადასხვაა: **0°** – 233, 236, 271, 272; **90°** – 247, 266; **180°** – 224, 225, 226, 227, 228, 229, 230, 231, 232, 234, 235, 237, 238, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 258, 259, 260, 261, 262, 263, 264, 265, 267, 268, 269, 270, 273, 274, 275, 276, 277, 278, 279, 280, 281, 282, 283, 284, 285, 286, 287, 288, 289, 290, 291, 292.

განკანონება: სვეტების რაოდენობა – 2; სვეტის სიგანე – 80 მმ; სვეტებს შორის მანძილი – 18 მმ; სტრიქონების რაოდენობა – 28; სტრიქონებს შორის მანძილი – 10 მმ; გრაფემათა რაოდენობა სტრიქონში – 15/19. არშიები: ზედა – 30 მმ (მოჭრილი), ქვედა – 65 მმ, მარჯვენა – 60 მმ, მარცხენა – 55 მმ; ტექნიკური პარამეტრების მიხედვით ხელნაწერის ორიგინალი ზომა დაახლოებით 235×227 [?] მმ-ია.

ნაკითხვის ხარისხის მიხედვით ხელნაწერი სამივე (I, II, III) კატეგორიას განეკუთვნება.

განკვეთილობის ნიშნად გამოყენებულია ორწერტილი, დაქარაგმებულია უმეტესად კავშირები და პატივის აღმნიშვნელი სიტყვები; საზედაო გრაფემები გადის ჩარჩოდან და ორ ან სამ სტრიქონს შორის მანძილს მოიცავს. ტექსტი ნაწერია მრგვლოვანი ასომთავრულით, საშუალო ზომის გრაფემებით, რაიმე განსაკუთრებული წერის მანერა არ შეინიშნება. პალეოგრაფიული ნიშნების გათვალისწინებით ხელნაწერს X საუკუნით ვათარიღებთ.

პალიმფსესტის რაობის განსაზღვრა, პირველი ხელნაწერის მსგავსად, არც ამ შემთხვევაში აღმოჩნდა რთული. ტექსტში ლიტურგიკული მითითებების არსებობამ და რამდენიმე გვერდის იდენტიფიკაციამ თავიდანვე ცხადი გახადა, რომ Par.Geo.5-ის III პალიმფსესტური ხელნაწერი იერუსალიმურ ლექციონარს წარმოადგენს.

ხელნაწერზე მუშაობისას დროისა და ტექნიკური აპარატურის უქონლობის გამო მხოლოდ რამდენიმე გვერდის სრულად ნაკითხვა გახდა შესაძლებელი (**იხ. დანართი 2**). გვაქვს ისეთი პალიმფსესტური ფურცლები, რომლებიდანაც, მართალია, ტექსტის გადმოწერა ვერ მოხერხდა, თუმცა ზოგიერთი მათგანის იდენტიფიცირება შეეძლებოდა. სამწუხაროდ, ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი ისეა გადარეცხილი, რომ არა თუ ტექსტის ნაკითხვა და იდენტიფიცირება, იმის დადგენაც კი რთული აღმოჩნდა, რამდენად პალიმფსესტური იყო ხელნაწერის ესა თუ ის ფურცელი.

იდენტიფიცირებული გვერდები:

- 238r** – მათე 27: 20 – ვნების კვირა: დიდი პარასკევი
- 251v** მათე 25: 9 – ვნების კვირა: დიდი სამშაბათი, მწუხრი
- 252r** იონა 1: 9-15 – ვნების კვირა: დიდი შაბათი
- 253r** მათე 27: 57 – ვნების კვირა: დიდი პარასკევი
- 269rv** იოზი 1: 5-21 – დიდმარხვის პირველი ორშაბათი დღის გ საკითხავი
- 273 rv-** იოზი 12: 3-13: 10 – დიდმარხვის მესამე პარასკევი დღის საკითხავი

274r – მეორე შჯულთა, 10: 2-11; იობი 12: 2 – დიდმარხვის მესამე პარასკევი დღის საკითხავი

274v – მეორე შჯულთა, 9: 21-10: 2 – დიდმარხვის მესამე პარასკევი დღის პირველი საკითხავი

275rv – გამოსლვათაჲ, 1: 1-18 – დიდმარხვის პირველი ოთხშაბათი დღის ა საკითხავი

278r – მათე, 6: 19-28 – წმიდასა კურიაკესა, დღესა ყველით ალებასა

279v – ესაია, 57: 15-19 – დიდმარხვის მესამე ხუთშაბათი დღის დ საკითხავი; მეორე შჯულთა, 9: 7-11 – დიდმარხვის მესამე პარასკევი დღის პირველი საკითხავი

281v – მეორე შჯულთა, 34: 12 – დიდმარხვის მეოთხე პარასკევი დღის გ საკითხავი

285rv – გამოსლვათაჲ, 9: 9-11; 9:17 – დიდმარხვის მეხუთე ოთხშაბათი დღის ა საკითხავი

286r – პავლჳ ებრაელთაჲ 11: 32-40 – თთუესა იანვარსა იზ, ჳსენებაჲ მამისა ჩუენისა ანტონისი, დ საკითხავი პავლჳ ებრაელთაჲ

287r – ლუკა 15: 6-10 – დიდმარხვის პირველი კურიაკე: სახარება ლუკასი; მეორე სვეტზე ჩანს წვრილად აღნიშნული ლიტურგიკული მითითება და იწყება პირველი მეფეთა, 1: 1-4 – დიდმარხვის მეორე ორშაბათი დღის ა საკითხავი მეფეთა

288r იობი 5 – დიდმარხვის პირველი ხუთშაბათი დღის ბ საკითხავი

289v იობი, 6:16 – დიდმარხვის პირველი პარასკევი დღის ბ საკითხავი

იდენტიფიცირებული გვერდების მიხედვით, პალიმფსესტური ხელნაწერი შეიცავს მარხვის წინა მოსამზადებელი პერიოდის და დიდმარხვის პერიოდის საკითხავებს. ხელნაწერის მოცულობიდან და იმ გადაშლილი გვერდების რაოდენობიდან გამომდინარე, რომელთა იდენტიფიკაციაც ვერ მოხერხდა, ვფიქრობთ, Par.Geo.5-ის III პალიმფსესტური ხელნაწერი სრული იერუსალიმური ლექციონარის შემცველი უნდა ყოფილიყო. პალიმფსესტის ტექსტის ჩვენამდე მოღწეულ მე-10 საუკუნის ლექციონარებთან (იერუსალიმის, პარიზის, ლატალის, კალის, სინის) შედარებამ მათ შორის მხოლოდ ვარიანტული სხვაობები გამოავლინა. აღსანიშნავია ის, რომ ჩვენმა პალიმფსესტმა შემოგვინახა ისეთი საკითხავები, რომლებიც აკლია პარიზის ლექციონარს (მაგ.: *იობი 12:1-14:22*), ამასთანავე პალიმფსესტში გვხვდება საკითხავი მარკოზის სახარებიდან (*მარკ. 12: 29-30*), რომელსაც მხოლოდ ლატალის ლექციონარი შეიცავს და არ დასტურდება დღეისათვის ცნობილ იერუსალიმური ლექციონარის შემცველ სხვა სრულ ხელნაწერებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარკოზის სახარების ეს ადგილი, ლატალის ლექციონარისა და ჩვენი პალიმფსესტის (Par.Geo.5) გარდა, ხელნაწერთა

ეროვნულ ცენტრში დაცულმა H 3189 პალიმფსესტურმა ხელნაწერმაც შემოგვინახა⁶.

ტექსტოლოგიურმა შესწავლამ და ანალიზმა გვიჩვენა, რომ Par.Geo.5-ის III პალიმფსესტური ხელნაწერი, ვარიანტული სხვაობების მიუხედავად, X საუკუნის ლექციონარების რედაქციისა უნდა იყოს.

დანართის სახით წარმოვადგენთ პალიმფსესტის ტექსტს, რომელიც მოცემულია იმ თანმიმდევრობით, როგორცაა ლექციონარში უნდა ყოფილიყო. ტექსტი აღდგენილია <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/framee.htm?/index.htm> საძიებო ბაზის მიხედვით. სქოლიოში საკითხავთა თავები და მუხლები მითითებულია სრულად (იხ. დანართი 2).

დანართი 1. (I პალიმფსესტური ხელნაწერი)

დიდსა შაბათსა მწუხრი:

დ საკითხავი იონა წინაჲსწარმეტყუელისაჲ (Jon. 3: 7-4: 6)⁷

[Par.Geo.5: 222r]: 7. [...] გემოსა ხილვაჲ ნურა[რაჲ, ნუცა საძო]ვრისაჲ, ნუცა [წყლისა] სუმაჲ. 8. ძაძაჲ შთაიცუა [ყოველმან] კაცმან და შეაყენეს ყოველი საცხოვარი [...] კაცად-კაცადი გზისაგან თვისისა ბოროტისა და უკეთურებისა[გან], რაჲ იგი იყო ჴელთა შინა მათთა. 9. თქუ[ეს გინაცა თუ] იხილოს [ესე ლ(მერთმა)ნ და] შეინანოს ჩ(უენ) ზ(ედ)ა და გარე წარაქციოს [გულისწყრო]მაჲ რისხვისა მისისაჲ და არა წარვწყმდეთ. 10. [მი]ხედა ლ(მერთმა)ნ საქმეთა მათთა, რ(ამეთუ) გარე[მოაქციეს სა]ქმეთაგან უკეთურები[სა] მათისათა, და შეინანა [ლ(მერთმა)ნ გულის-წყრომაჲ] მისისა იგი [რის]ხვისა მისისა და ვა{...} [...] [ეგულე]ბოდა და ყოფად მათა [...]. 4.1. ვ(ითარცა) იხილა იონა, [შენ]უხნა ფრიად და შეიძნო]. 2. აღდგა თაყუანის[ცემად] ლ(მრთი)სა [და თქუა:] აჰა⁸, უ(ფალ)ო, არა ესე სიტყუანი არიან, რ(ომე)ლთა მეტყოდე მე მუნვე ქ(უეყა)ნასა ჩემსა? ამისთვ[ს] ვისწრაფე სილტოლად თარშით კერძო, რ(ამეთუ) [უნყოდე], ვ(ითარმე)დ შენ მოწყალე ხარ და შემწყნარებელ [... და დი]დად მოწყალე და შეინანი ძვრისყოფაჲ კაცთაჲ. 3. ან უ(ფალ)ო ლ(მერთ)ო ჩემო, მიიღე სული ჩემი ჩემგან, რ(ამეთუ) [...] 6. და უბრძანა უ(ფალმა)ნ ლ(მერთმა)ნ აყიროსა აღმოცენებაჲ სასთუნლით კერძო იონაჲსა [...]

ო საკითხავი ეზეკიელ წინაჲსწარმეტყუელისაჲ (Ez. 37: 1-5)⁸

[Par.Geo.5: 220r]: საკითხავი ეზეკიელ წინაჲსწარმეტყუელისაჲ: 1. და იყო ჩემ ზედა ჴელი უფლისაჲ და განმიყვანა მე სულითა ღმრთისაჲთა [...] 4. და მრქუა მე: [...] 5. ამას იტყუს უფალი [...]

⁶ გაფრინდაშვილი, *ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული...*, გვ. 14.

⁷ ამ დღის საკითხავი უნდა მოიცავდეს *იონა 1:1-4:11* მუხლებს. საკითხავის დასაწყისის დადგენა პალიმფსესტში ვერ ხერხდება.

⁸ უნდა იყოს *ეზეკ. 37: 1-14*.

დანართი 2. (III პალიმფსესტური ხელნაწერი)

წმიდასა კურიაკჳსა: დღესა ყველითა აღებასა:

სახარება მათჳს თავისაჲ (Mt. 6:19-28)⁹

[Par.Geo.5: 278r]: 19. [... მჭამ]ელმან გარყ(ოკ)ნეს, და მპარავთა [დათ]ხარ-
რიან და გ(ა)ნიპარიან. 20. [არამედ იოკ]ნჯებდით საფას[ესა თქოკენ]თა ცათა
შინა, სა[და ა]რცა მლილმ[ან] და მჭა[მელმ]ან გარყ(ოკ)ნეს და ა[რცა მ]პარავთა
დათხა[რო]ნ და გ(ა)ნიპარონ. 21. რ(ამეთოკ) [სა]დაცა იყვნენ საოკ[ნჯე]ნი თქ(ოკე)
ნი, მოკნცა გ[ოკლ]ნი თქ(ოკე)ნი არიან. 22. სა[ნთელი] გოკამისაჲ არს [თო]კალი.
23. თოკოკეთოკ თ[ოკ]ალი შ(ე)ნი თოკოკ იყოს, [ყოველი] გოკამი შ(ე)ნი ნ(ა)თ(ე)ლ
იყოს, [ოკკ]ოკეთოკ თოკალი შ(ე)ნი [...]ოჲ იყოს, ყ(ოველი) გოკამ[ნი] ბნელი იყოს,
[ოკკოკ]ეთოკ ნათელი იგი [შენ] შ(ორის)ს ბნელი არს, ბნელი იგი რავდენმე. 24.
ვერ[ვინ] ჰმონოს ორთა [ოკვალ]თა: ანოკ ერთი ი[გი] შეიყოკაროს და ე[რთი]
მოიძოკლოს, ანოკ [...] ერჩდეს და ერთი [იგი] შეოკრაცხოს. ვერ ჴელენიფების
მონებად ღ(მრ)თისა და მამონაჲსა. 25. ამისთჳს გეტყვ თქ(ოკენ): ნოკ ზოკონავთ
ს(ოკ)ლისა თქ(ოკე)ნისათჳს, რაჲ შჭამოთ და ნოკ რაჲ ჰსოკათ, ნოკცა ჴოკცთა
თქ(ოკე)ნთათჳს, რაჲ შეიმოსოთ, ანოკ არა ს(ოკ)ლი თოკფროჲს არს საზრდელისა
და ჴოკნი სამოსლისა? 26. მიხედენით მფრინველთა ცისათა, რ(ამეთოკ) არა
სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ [საოკნჯეთა], და მამაჲ თქ(ოკე)ნი ზეცა-
თაჲ ზრდის მათ. არამე თქ(ოკენ) თოკფრობჳს ხართ მფრინველთა? 27. ვინ თქ(ოკე)
ნგანი ზოკონვიდეს და შემძლებელ არს იგი და შემძლებელ არს¹⁰ იგი ჰასაკისა
თჳსსა წყრთა ერთ? 28. და სამოსლისათჳს რასა ჰზოკონავთ(თ)? მიხედეთნით შრო-
შანთა ველისათა, ვ(ითა)რ იგი აღორძნდინ. არცა შოკრებინ არცა ...

პირველი კურიაკჳსა წმიდათა მარხვათა:

დღესა ორშაბათსა, მწუხრი, კრებაჲ ანასტასიას

გ საკითხავი იობისი (Hiob 1: 5-22)¹¹

[Par.Geo.5: 269v]: 5. ბოროტი მოჴდეს ღ(მრ)თით რ(ამეთოკ) ესრჳთ ჰყოფდა
იობ ყ(ოვე)ლთა დღეთა მისთა. 6. და ვ(ითარ)ცა დღჳ ესევითარი, და მოვიდეს
ანგელოზნი [ღმრთისანი] წარდგომად ნ(ინა)შე] ღ(მრ)თისა, და ეშმაკიცა მოვიდა
და დადგა მათ თანა. 7. ჰრქ(ოკ)ა თ(ოკვალ)მან ეშმაკსა მას: ვინაჲ მოხოკალ შ(ე)
ნ? მიოკგო [ეშმაკმან] და რქ(ოკ)ა [თ(ოკვალ)სა: მომივლიეს ყ(ოვე)ლი ქოკეყანაჲ] და
განმიხილავს ცასა ქოკეშე და ან აქა ვარ. 8. და რქ(ოკ)ა თ(ოკვალ)მან: მიხედეა
გონებითა შ(ე)ნითა მონასა ჩემსა იობს? რ(ამეთოკ) [არავინ არს] ქ(ოკე)ყ(ა)ნასა
ზე(ე)და კ(ა)ცი თოკბრლოჲ, ჴეშმარიტი, [ღმრთის]მსახოკრ, განშორებოკლ ყ(ოვ)
ლისაგ(ა)ნ საქმისა ბოროტისა. 9. მიოკგო ეშმაკმან ნ(ინა)შე თ(ოკვლი)სა და თქ(ოკ)

⁹ უნდა იყოს მათე 6: 1-33.

¹⁰ აქ ტექსტი „შემძლებელ არს იგი“ მეორდება.

¹¹ ამ დღის საკითხავი უნდა მოიცავდეს იობი 1: 1-21 მუხლებს.

ა: ნოვოკოვე მეტად მსახორებს იობ ო(კვალ)სა? 10. ანოვ არა შ(ენ) მოზლოვდე გარემოჲს მისა და შინაგანი {სახლისა მი}სისაჲ და გარეშ(ე)წ, რაჲ არს მისი, ყ(ოვე)ლი მოი(ცე)ვ? საქ(ემ)ნი ჴელთა მისთანი აკოვრთხენ(ე) და [საცხოვარ]ი მისი [მრავალ ჰყავ? 11. ა(რამე)დ მიავლინე ჴელი შ(ენ)ი და შეახე ყ(ოველ)სა რაოდენ(ი) რაჲ აქოვს პირითალა გაკოვრთხოს შ(ენ)? 12. [მაშინ] რქ(ოვ)ა [ო(კვალ)მა] ნ ეშმაქსა მას: აჰა ესერა ყ(ოვე)ლი, რაჲცა არს მისი, მივსცე ჴელთა შ(ენ)თა, ა(რამე)დ {მას} ნოვ შეეხები. და გა(მო)ვი(და) ეშმაკი იგი პირი(სა)გან ო(კვლი)სა}. 13. და იყო ესევე(ითა)რი დ(ღ)ჴ და ძე(ნი) იობისნი და ას(ო)ვლნი(ე) მისნი სმიდეს სა(ხლ)სა(ე) შ(ინ)ა ძმისა მათი(სა) ო(კ)ხოვც(ს)ისისასა. 14. და აჰა ესერა ლაღ(ა)დისი ერ(თ)ი მოინა იობი(სა) და(ე) რქ(ოვ)ა მას: ოვლლეოვ(ლი) ჴა(რ)თაჲ ჴენიდა {და რე} მაკი ვირთაჲ ჴ(და)ლთ(ა)ჲჲ ძოვდა მახ(ლო)ბე(ლ)ად [მათსა]. [269r]: 15. {მო}ვიდეს მტყოვ(ენ)ეღნი(ე) და წარნტ(ყო)ვნი(ე)ს და მონანი {იგი მოსრენეს} და გან(ვე)რი მე მარტოჲ და მოვედ თხრობად შენდა. 16. [...] ეტყოდა {ოდენ}, მოვიდა სხო(ვ)აჲ ლაღ(ა)დისი და ჰრქ(ოვ)ა {იობს} ცეცხლი გარ(და)მოხდა(ე) [ზეცი]თ და {დან} ოვ(ა) ცხოარი იგი {და მ(ე)წყემსნი არა შე(ქ)ამნა} ეგრევე. გ(ა)ნვე(დი) მე მარტოჲ და მოვედ თხრობად შე(ნ)და. 17. {და ვ(იდრ)ე იგი} ამას ეტყოდა {ოდენ} მ(ე) ოვიდა სხ(ოვ)აჲ ლაღ(ა)დისი(ე) და რქ(ოვ)ა იობს: მვე(დრ)ებ(ი) განიყო სამ {გოვ} დად და გარე(მო)ად(გ)ეს აქლემებსა მ(ა)ს და(ე) წარტყოვნი(ე)ს {იგი და} მონანი იგი მო(წყ)ვნი(ე)ს მაჴვლითა და {განვე}რი მე მარტოჲ {და მო}ვედ თხრობად შე(ნ)და და 18. ვ(იდრ)ე იგი} ამას ეტყოდა ოდენ, მოვიდა სხოვ(ა) ლ(ა)დ(ა)დისი და რქ(ოვ)ა იობს: ძენი შ(ენ)ი და ასოვლნი შ(ენ)ი ჴამდეს და სოვმიდეს ძმისა მათისა ო(კ)ხოვც(ს)ისისა. 19. და მეყსეოვლად ქარი დიდი მოჴდა ოვდაბნოთ და ეკოვეთა ოთხთა კიდეთა მ(ა)თ სახლისათა, და დაეცა სახლი იგი ყრმათა შ(ენ)თა და მოწყდეს. განვერი მე მარტოჲ და მოვედ თხრობად შე(ნ)და. 20. და ესრ(თ) აღდგა იობ [და] დაიპო სამოსელი თვისი, და აღიპარსა თმაჲ თავისა თვისი(ა)ჲ და დავარდა ქ(ოვე)ყ(ა)ნ(ა)სა ზ(ე)და და აღდგა და დამჴედ თაყოვანის სცა ო(კვალ)სა პირსა ზ(ე)და თვისსა, 21. და თქ(ოვ)ა მო(ვე) შიშოველი სროვლ ვიყავ მოვცლისაგან დედისა ჩემისა, შიშოველივე მივიქცე მოვნივე [268v]: {...} ქ(ოვე)ყ(ნა)დ ო(კვალ)მა ნ [მომც]ნა და ო(კვალ)მა(ნ) მიმილო ვ(ითარ)ცა ოვ(ნ)და [...] იყავნ სახელი ო(კვლი)საჲ [... კოვრთხეოვლ ო(კ)კონისამდე]. 22. [...] არაჲ შესცოდა იობ წ(ინა)შ(ე) ო(კვლი)სა და არცა რაჲ თქოვ(ა) ოვგოვნი(ე)ბაჲ ლ(მრ)თისა მიმართ [...]

დღესა ხუთშაბათსა ა: მწუხრი. კრებაჲ ანასტასიას:

ბ საკითხავი იობისი (Hiob 5: 22-27)¹²

[Par.Geo.5: 288r]: 22. [...] ეკიცხევედ[ე] და მხეცთა[გან] ველო{...} არა გეშინო[დის შენ]. 23. {...} მხეც[ნი] ველისანი [დაგე]მორჩილენ შ(ენ). 24. {...} სცნა რ(ამეთოვ) მჴვლობაჲ [არს] სახლსა შ(ენ)სა და ნ(ე)სმან საყოფ[...] შენისა-

¹² უნდა იყოს იობი 4:1-5:27 მუხლები; პალიმფსესტში მხოლოდ ხუთი მუხლის ამოკითხვა შეეძელით.

მან ა{რა ც}ოდოს. 25. მაშინ {სცნა} რ(ამეთოვ) მრავალ ა{რს ნა}ტესავი შ(ე)ნი {და შვილნი} შ(ე)ნი, ვ(ითარც)ა [ყუავილნი ე]ელისაჲ. 26. და მო[ხვდე საფლა] ვად ვ(ითარც)ა [... ...] 27. [...] ესე არს, რ(ომელი) [გოკასმ]იეს, ხ(ოლო) შ(ე)ნი ცან თავისა შ(ე)ნისაჲ [...]

წმიდასა კურიაკესა ა. წმიდათა მარხვასა:

სახარებაჲ ლუკას თავისაჲ (Lk. 15: 6-10)¹³

[Par.Geo.5: 287r]: 6. [მოოკ]წოდის მეგობ[ართა] და მოძმეთა [...] 7. [...] ოთხმეოც და [ცრა]მეტთა მათგანთა, რ(ომელთ)ა არა ოკმ[ს სინ]ანოკლი. 8. {...} [რო]მელთა დედაკაც[თა] აქოკნდეს [ათი სატი]რი და წაროკ[წყმ]დეს ერთი სატი-რი, და [...] და მოჰმართოს სახლი და ეძიებ[დეს] გოკლმოდგინე[დ], [...] პოო[ს ...] 9. {...} მოოკწოდის მე[გობა]რთა და მოძმე[თა ...] მათ [...] [გიხარო]დენ, [...] რ(ომელ) [წარი]წყმიდა. 10. [...] გეტყვ თქოკენ ესრჷთ სიხაროკლი იყოს წ(ინა)შე ანგელოზთა ღ(მრთი)სათა ერთ[სა ზედა ცოდვილსა] რ(ომელ)მან შეინანოს.

დღესა ორშაბათსა ბ. წმიდათა მარხვათა

პირველი საკითხავი მეფეთაჲ (1 King 1:1-4)¹⁴

[Par.Geo.5: 287r]: 1. კაცი ვინმე იყო არმათემელი სეფასაჲ, მთისაგან ეფრე-მისი, და სახელი მისი ელკანა, ძმ იერემელისი, ძისა თოვისი, ძისა სოფისი არმათემით. 2. ამას ესხნეს ორ ცოლ: სახელი ერთისაჲ მის [ანა] და სახელი მეორისაჲ მის ფენანა. და ესხნეს ფენანას ყრმანი, ხოლო ანას არა ესოკა ყრმა. 3. და აღვიდის კაცი იგი ქალაქით თვსით არმათემით. ყ(ა)მ(ი)თი ყ(ა)მ(ა)დ თ(ა) ყ(ოკან)ს(ც)ე(მ)ა(დ) და შეწირვად მსხოკერპლისა წ(ინა)შე ო(კვლი)სა [სელომს]. და იყოკნეს [ორნი იგი ძენი] ელისნი, ოფნი და ფინეზ, მღდელნი ო(კვლი)სანი. 4. და მოიწია დღჷ იგი [...]

დღესა ხუთშაბათსა გ, კრებაჲ სიონს

დ საკითხავი ესაჲ წინასწარმეტყუელისაჲ (Is. 57:15-19)¹⁵

[Par.Geo.5: 279v]: 15. [...] წ(მიდა)ჲ წ(მიდა)თა შორის და ს(ა)ხ(ე)ლი მისი ო(კ)ფ(ა)ლ და მ(ა)ლ(ა)ლ წ(მიდა)თა შ(ი)ნა გ(ა)ნსოკენებოკლ, ს(ოკ)ლმოკლეთა მოსცეს ს(ოკ)ლგრძელებაჲ და მოსცის ცხორებაჲ დამდ(ა)ბ(ლეზოკ)ლთა [...] 16. არა ო(კ)კ(ოკნისამ)დე მანკიერ ვიქმნე შოკრისგებად, არცა ო(კ)კ(ოკნისამ)დე გ(ა) ნგირისხნე თქ(ოკენ), რ(ამეთოკ) სოკლი ჩემ მიერ გამოვიდეს, და ცხორებაჲ მე შეკქმენ. 17. ცოდვისათვს მცირედ რაჲ მე შევანოკზე იგი, ვტანჯე იგი და გარე-მივიქციე პირი ჩემი მისგან, და შეწოკხნა და ვიდოდა მწოკხარჷ გზათა მისთა. 18. და გზანი მისნი ვიხილენ და გ(ან)კოკორნე იგი, გოკლდეგოკლ ვყავ იგი და

¹³ უნდა იყოს ლუკა 15: 1-10.

¹⁴ უნდა იყოს 1 მეფ. 1:1-2:11.

¹⁵ პალიმფსესტში ესაიას წინასწარმეტყველებიდან საკითხავი სრულად არის წარ-მოდგენილი.

მივეც მას ნოკგეშინისცემად ჭემმარითი, 19. მშკდობასა მშკდობაა [...] და რომელნი მახლობელ არიან.

[ფსალმონი] ო(კვალს)ა შეგესემინ {...}

[დასდებელი] ხ(ა)დ[ილსა ჩემსა]

დღესა პარასკევსა გ, კრებაჲ სიონს

პირველი საკითხავი მეორისა შჯულისაჲ (Deut. 9:7-10:11)¹⁶

[Par.Geo.5: 279v]: 7. მოიწსენე და ნო[კ] დაივინყებ, რავ[დენ იგი] განარისხე ო(კვალ)ი ლ[მერთი შენი ოკ]დაბნოსა მას, ვიდ[რე] გამოხოვედით ქ[ოკეყანი]თ ეგჳპ[ტი]თ ვ(იდრ)ე მოსლვა[დმდე ად]გილსა ამას, ოკ[რჩებით] აღასროვლეთ [ოკფლისა მი]მართ. 8. და ქორე[ბსაცა განვეარისხეთ ო(კვალ)ი ლმერთი და გან-რისხნა ოკ(ფალი) მოსრე[ვად თქოკენ] ზ(ედ)ა. 9. და აღსლვა[სა მას] ჩემსა მთად მას მო[ღებად] ორთა მათ ფიც[ართა] რჩოვლისათა, რ[ომელი იგი] რჩოვლი მოგცა [ოკფალმან], და ვიყავ მე მთ[ა]სა ორმეოც დღ[ე] და ლ[ამე], პოკრი არა ვჭამე და წყალი არა ვსო[კ]. 10. [და მ]ომცნა მე ო(კვალ)მან [ორნი] ფი-ცარნი ქვის[ანი და]წერილნი თითი[თა ლმრთისაჲთა], და მათ წერილ ი[ყვნეს] ყ(ოვე)ლნი სიტყოკან[ი ლმრთისანი], იტყ(ო)და თქ(ოკენ) მ[იმართ]. 11. და იყო, მეორმ[ეოცესა] დღესა [... ...] [279r]: 13. [...] ერთ გზის და [ორ] გზის [...] 14. [...] მაცადე და [მოვ]სრე იგინი და {...} ცასა ქოკეშე და [...] გყო შენ ნათე-სავად დ(იდა)დ [...] და მოვიქეც [...] 16. რ(ომელი) გამცნო [...] 17. [...] ჴელთა ჩემთა და დავმოკსრენ იგინი წ(ინაშ)ე [თქოკენსა]. 18. და ვევედრე წ(ინაშ)ე ო(კვლ)ი(სა) მეორედ, ვ(ითარ)ცა იგი პირველ, ორმეოც დღე და ორმეოც ლამე, პოკრი არა ვჭამე და წყალი არა ვსოკ ყ(ოველ)თა ცოდვათა თქ(ოკენ)თათკს რ(ომელ) სცოდეთ ყოფად ბოროტისა წ(ინაშ)ე ო(კვლი)სა ლ(მრ)თისა [...] 19. და შეშინებოკლ ვარ მე გოკლისწ(ყ)რომისა მისისა რამეთოკ განრისხნა ო(კვალ)ი თქ(ოკენ) ზ(ედ)ა მოსრვად თქ(ოკენ)და და შეისმინა ჩ(ემ)ი ო(კვალ)მან მას ჟ(ა)მსა შ(ი)ნა. 20. და აპრონის ზ(ედ)ა განრისხნა ო(კვალ)ი მოსპოლვად მისა, და ვილოკე აპრონისთკს მას ჟ(ა)მსა შ(ი)ნა. 21. და ცოდვაჲ იგი [თქოკენი] რ(ომელ) ჰქმენით, მოვილე ჴბოჲ იგი და დანკ ცეცხლითა და შევემოკსრე [და მოვ]გ(ა)ლე ფ(რია)დ, ვ(ი)დ(რემდი)ს... [274v]: [...] იქმნა იგი ვითარცა მტერი (!), და შთავაბნიე იგი ჴევსა მას, რომელი რ(ომელი) გარდამოვიდოდა მთისა მისგ(ან). 22. და ც(ე)ცხლითდ შეწვასა მას და გამოცდასა მას და ს(ა)ფლ(ა)ვთა და გოკლისთქმისათა განმარისხებელ იქმნენით ოკ(ფლი)სა ლ(მრ)თისა თქ(ოკენ)ისა. 23. და ოდეს იგი წარგავლინნა თქ(ოკენ) ო(კვალ)მან კიდწთ ბარნისაჲთ და გარქ(ოკ)ა: აღვედით და დაიმკვდრეთ თქ(ოკენ) ქ(ოკე)ყ(ა)ნ(ა)ჲ, რ(ომელი) მიგეც თქ(ოკენ), [...]'¹⁷ 24. და ოკრჩ ექმნენით ო(კვალ)სა, ვინაჲთგან გამოგიცხადა თქ(ოკენ). 25. და ვევედრე

¹⁶ მეორე შჯულის საკითხავი სრულად არის წარმოდგენილი.

¹⁷ ერთნაირი ლექსიკური ერთეულის გამო, ჩანს, ტექსტი მექანიკურად გამოტოვებულა.

წინაშე ოვ(ფლი)სა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე, რაოდენ იგი ვევედრე, რ(ამეთოვ) თქ(ოვ)ა ო(ვფალმ)ან მოსრვაჲ თქ(ოვე)ნი. 26. და ვილოცე ო(ვფლ)ისა მიმართ და ვთქოვ: ო(ვფალ)ო ღ(მერთ)ო, მეოვფეო ღ(მერთ)თაო, ნოვ მოსრავ ერსა, რ(ომელ) იწსენ ძალითა შენითა დიდითა, რ(ომე)ლი გამოიყვანენ ქ(ოვე)ყ(ა)ნ(ი)თ ეგვპტით წელითა შ(ე)ნითა მტკიცითა და მკლავითა შ(ე)ნითა მ(ა)ლლითა. 27. მოიწსენე აბრაჰამ, ისაკ და ი(ა)კობი, რ(ომლი)თა [...] ნოვ ხედავ ოვლმრ-თოებასა მათსა სიფიცხესა ამის ერ]ისა და ც(ო)დვა(სა) მათსა. 28. ნოვოვ[კოვე იტ]ყოდიან მკვდრნი [მის] ქ(ა)ლ(ა)ქ(ი)სანი, ვინაჲ [...] გა[მომიყ]ვანენ ჩ(ოვე)ნ: და თქ(ოვ)ან [...] შეოვძლო ო(ვფალმ)ან შეყვა[ნებად] მასა, ქ(ოვე)ყ(ა)ნასა მას, რ(ომელ)ი ოვ(ფალმ)ან რქოვა მიცემად მ[ათ], და რ(ამეთოვ) სძოვლდეს იგ[ინი და ...]თვს ამისთვს გ(ა)ნიყვ[ანნა] იგინი მოსრვად ოვ[დაბ]ნოსა ზ(ედ)ა. 29. და ესე ერ[ი შ(ე)ნი და ნა] წილი შ(ე)ნი, არს რ(ომელ)ი გამოიყვანე ქ(ოვე)ყ(ა)ნ(ი)თ ეგვპტით ძ(ა)ლითა შ(ე)ნითა [დიდითა] და მკლავითა შ(ე)ნი[თა მალ]ლითა. **10:1.** მას ყ(ა)მსა შ[ინა მრქოვ]ა მე ო(ვფალმ)ან: გამოთაღე[ნ თავი]სა შ(ე)ნისა ფიცარნი ქ[ვისა]ნი, ვ(ითარც)ა პირველნი იგ[ი და] აღმოგოვალე ჩემდ[ა მთად] და ქმენ შ(ე)ნდად (!) კი[დობანი] ძელთაგ(ა)ნ ოვპოლვე[ლთაჲ]. 2. და დასწერნე ფიცართა **[274r]:** [იგი] რავდენნი წერილ [იყვენ]ეს ფიცართა მათ პირველთა, [რომელ შე] ჰმოვსრენ, და დასხ[ენ] იგინი კიდობანსა [მას]. 3. და ვქმენე კიდობანი [იგი ძ]ელთაგ(ა)ნ ოვლპოველ[თაჲ], და გამოვჰკოვეთ[ენ ო]რნი იგი ფიცარნი [ქვი]სანი, ვ(ითარც)ა პირველნი იგი, [და აღვე]დი მე მთად. და ორ[ნი იგი] ფიცარნი წელთა. 4. [და]წერნა ფიცართა მათ [დ]ანწერილისა მისებრ [პირ]ველისა ათნი სიტყოვანი, [რომელთა] იტყ(ო)და ო(ვფალ)ი თქ(ოვე)ნდა მი[მართ] მთასა მას ზ(ედ)ა შ(ორი)ს [ცეცხლ]სა. და მომცნა მე [ოვფალმ)ან]. 5. და მოვიქეც და გარ[დამ]ო(ვი)დე მიერ მითთ, [შ]თავსხენ იგინიცა ამას. რ(ომელ) ვქმენ. იყვენეს იგინი მოვნ, ვ(ითარც) ა მამცნო მე ო(ვფალმ)ან. 6. და ძენი ისრ(აწ)ლ(ი)სა[ნი აღ]იძრნეს ბეროთით [ძეთა]გ(ა)ნ ი(ო)აკიმისთა. [და] მოვნ [მო]კოვდა აპრონ და და[ეფლა], და მღდე-ლობდა ელია[ზარ], ძწ მის წილ. 7. და მიერ აღიძრნეს [კად]კადწთ და მოვიდეს იატაბელად, [ქ(ოვე)ყ(ა)ნ(ა)დ] წევისა მის წყალსაჲ. 8. მას ყ(ა)მსა შინა განაჩინა ო(ვფალმ)ან ტომი ლევისი აღებად კიდობნისა რჩოვლისა ოვ(ფლი)სა წარდგომად წინაშე ოვ(ფლი)სა მსახოვრებად და ლოცვად სახელითა მისითა ვ(იდრე) აქა დღედმდე. 9. ამისთვს არა არს ლევიტელთა ნაწილი და სამკვდრებელ შ(ორი)ს ძმათა მათთა, [.დ, ო(ვფალ)ი ნაწილ არს მათა, ვ(ითარც)ა [ჰ]რქ(ოვ)ა მათ. 10. და მ[ე] ვდევ მთასა მას ზ(ედ)ა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე და შეისმინა ჩემი ო(ვფალმ)ან მას დღესა შ(ინ)ა და არა ინება მოსრვაჲ თქ(ოვე)ნი. 11. და მრქოვა მე ო(ვფალმ)ან: ვიდოდე, წარვედ წინაშე ერისა მაგის და შეხვდეთ და დაიმკვდროთ ქ(ოვე)ყ(ა)ნ(ა)ჲ, იგი რ(ომლ)ისათვს ვეფოვცე მამათა მათთა მიცემად იგი მათა.

ბ საკითხავი იობისი (Hiob 12:2-13:10)¹⁸

[Par.Geo.5: 274r]: 2. და ან თქ(ოვე)ნცა სამე კაცნივე ხართ: ანოვ თქ(ოვე)ნ თანა აღესროვლა სიბრძნე. [273v]: 3. რ(ამეთოვ) თქ(ოვე)ნიცა გოვლი ჩემებრივე არს და არა ოვგნოვრეს ვარ თქ(ოვე)ნსა. 4. რ(ამეთოვ) მართალი კაცი და ოვბრალო იქმნა საკიცხელ. 5. რ(ამეთოვ) ყ(ა)მ(ა)დ დაწესებოვლად განმზადებოვლ იყო დაცემად სხოვათაგ(ა)ნ და სახლნი მათნი გამოტყოვენვად ოვრჩოვ[ლ]ოთაგან. 6. ხ(ოლო) ნოვ ვინ ესავნ, რ(ომელ)ი იგი ოვკეთოვრი იყოს, [ვითარმ]ცა ოვბრალო იყო; რ[...]ენ იგი განარისხებ ო(ვფალს)ა, ვ(ითა)რმცა [განკითხვა] მათი არა იყო. 7. ა(რამე)დ ჰკითხეთა ოთხფერვთა, [ოვკოვეთოვ რამე გითხრან შენ], ანოვ გოვწყონ შე(ენ). 8. მიოვთხარ ქ(ოვე)ყ(ა)ნასა, ოვკოვეთოვ თქ(ოვა)ს რამე, გინათოვ გამო-რამე [გითხრან შენ თევზთა] ზღვსათა. 9. ვინმე ა[რა ოვწყის ამათ ყოველთა შორის რამეთოვ ველმან ო(ვფლისამა)ნ შექმნა ესე ყ(ოვე)ლი]. 10. არამე ველსა შინა მისსა არს სოვლი [...] 11. რამეთოვ გონებამან სიტყოვანი განიკითხნის და სასამან [...] 14. დაწვას კაცთათვ[ს] არს რ(ომელმან) განალოს [...] 17. [...] განაკოვი]რენის. 18. დასხნის [მეფენი საყდარ]თა ზ(ედ)ა და [შე]არტყის [...] მისთა [სარტყელი] ძლიერებისა. 19. [განავ]ლინ[ნის] [273r]: [...] ტყოვედ და ძლიერნი ქოვეყანისანი] დაამოვ[ნა]. 20. [...] ბაგენი მორ[წმოვნე]თანი და [...] 21. მიჰფინის [ოვპატიო]ებათა მთავართა და მდაბ[ალნი გან]კოვრნა. 22. [...] გამო[იყვანნის] სიღრმენი ბ[ნ]ე[ლი]სანი და გამოიყვან[ნის] კროვლი ნათლად [აჩრ]დილთაგ(ა)ნ სიკ(ო)ვდილისათა. 23. [შე]ა[ცთოვნის] წარმართ[ნი და] გ(ა)ნოვტევის იგინი. გარდამოიყვანნის [ძენი] ნათესავთანი და [წარ]ოვძღვს მათ. 24. დააგ[ნის გოვლი მთ]ავართა ქ[ოვეყანისათანი] და შეა[ცთოვნის] [იგი]ნი გზასა, რ(ომელ) არა [იცოდ]იან. 25. ვიდოდან [იგი] ბნელსა და ნოვ ნათელ[ს]სა, და შესცთეს [იგინი ვითარ]ცა მთრვალნი. 13:1. [აჰა, ეს]ერა, ესე ყ(ოველ) იხილა [თოვ]ალმან ჩემმან და[ა ესმა] ყოვრსა ჩემსა. 2. და ვიცი რავდენი თქ(ოვე)ნ იცით და არა ოვგოვლისხმოვსსა ვარ თქ(ოვე)ნსა. 3. არა ხ(ოლო) ეგრე, ა(რამე)დ ო(ვფლ)ისა მიმართ ვ(ი)ტყოდი და ვამხილო წ(ინაშე) მისსა, [ოვკოვეთოვ] ინებოს. 4. ხ(ოლო) თქ(ოვე)ნ ხართვე მკოვრნალნი ცროვნისანი და მხილებელ ბოროტ [...] 5. [ოვკოვე]თოვმცა თქ(ოვე)ნდა დოვმილი და შეგერაცხოს თქ(ოვე)ნ სიბრძნედ. 6. ისმინენით მხილებანი პირისა ჩემისანი და სარჩელსა ბაგეთა ჩემთასა მომხედით მე. 7. ვ(ი)თ(არ)მე არს ესე, ანოვ არა წ(ინაშე) ო(ვფლ)ისა იტყ(ოვი)თ და ზრახავთ ზაკვასა? 8. ანოვ მერიდებით და თქ(ოვე)ნვე მსაჯოვლ მექმნებით? 9. კეთილმე არსა, ოვკოვეთოვ თქ(ოვე)ნიცა გამოიკვლიოს? დაღათოვ ყ(ოვე)ლი ჰყოთ და შეეძინეთ მას, 10. არავე რამე ნაკლოვლევანად გამხილოს თქ(ოვე)ნ, დაღათოვ ფაროვლითა პირითა თოვალ-გახოვნეს.

¹⁸ უნდა იყოს *იობი 12:1-14:22*. ჩვენმა პალიმფსესტმა იობის საკითხავის საკმაოდ დიდი ნაწილი შემოგვინახა. პარიზისა და ლატალის ლექციონარებში ეს საკითხავი ფრაგმენტულად არის შემორჩენილი.

დღესა ორშაბათსა და კრებაჲ სიონს

პირველი საკითხავი დაბადებისაჲ (Gen. 27:1-4)¹⁹

[Par.Geo.5: 270r]: 1. [...] რქ(ოჯ)ა და [დაოჯმ]ძიმდეს თოჯალნი [მისნი] და ვერ ხედვიდა, მოოჯწოდა ისაჯ ძესა თჯსსა {ესაჯს ოჯჯოჯცჯსსა} და რქ(ოჯ)ა მას: შვილნო ჩემნო ესაჯ და რქ(ოჯ)ა აჯა მე ვარ ო(ჯჯალ)ო. [...] 3. და რქ(ოჯ)ა მას ინადირე ნადირი 4. და მიქმენ მე ჭამადი და გაკოჯრთხოს შენ სოჯლმან ჩემმან ნ(ინაშ)ე ო(ჯჯლი)სა...

დიდსა პარასკევსა

სახარებაჲ მათჯს თავისაჲ (Mt. 27: 20-23)²⁰

[Par.Geo.5: 238r]: 20. {... მოხ}ოჯცებოჯლთა არნმოჯნეს [ერსა მას] რ(აათ)ა გამოითხოონ ბარაბა, [ხოლო] იესოჯ ნარწყმიდონ. 21. მიოჯგო მთავარმან მან და ჰ(რ)ქ(ოჯ)ა ვინ გნებავს [მიგიტეო თქოჯენ] და ღალადყვეს [ერთბამად]: ბარაბა. 22. [ჰრქოჯა მათ პილატე: რაჲ] ვყო ი(ესო)ჯ რ(ომე)ლსა [ჰრქჯან] ქ(რისტ)ე. [თქოჯ] ეს ყ(ოვე)ლთა მათ [ჯოჯარს ეცჯენ]. 23. ხ(ოლო) ჰ(რ)ქ(ოჯ)ა მათ რაჲ [...]

ენკენია, ზატიკის მეექუხესა დღესა

სახარებაჲ მარკოზის თავისაჲ (Mk. 12: 29-30)²¹

[Par.Geo.5: 288r]: 29. [...] მხოლოჲ ერთ არს. 30. და შეიყოჯარო ო(ჯჯალ) ი ღ(მერთ)ი შ(ე)ნი ყ(ოვე)ლითა ძალითა [შენითა და] ყ(ოვე)ლითა [გოჯ]ლითა შ(ე)ნითა და ყ(ოვე)ლითა სოჯლითა შ(ე)ნითა და ყ(ოვე)ლითა გონებითა შ(ე)ნითა და იყვენენ სიტყოჯანი[...]

გამოყენებული ლიტერატურა

1. **გაფრინდაშვილი, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული...** = ხ. გაფრინდაშვილი, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული იერუსალიმური ლექციონარის უცნობი პალიმფსესტური ფრაგმენტი (A 1390, H 3189, Svan. 12 ხელნაწერების მიხედვით), თბ., 2018.
2. **თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის...** = ექ. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933.
3. **იოანე მინჩხი, პოეზია, ხაჩიძე** = იოანე მინჩხის პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლელა ხაჩიძემ, თბ., 1987.

¹⁹ უნდა იყოს დაბ. 27:1-46.

²⁰ უნდა იყოს მათე 27:3-56.

²¹ უნდა იყოს მარკ. 12:28-44.

Khatuna Gaprindashvili

GEORGIAN PALIMPSEST KEPT IN THE NATIONAL LIBRARY OF FRANCE (PAR.GEO.5)

SUMMARY

In the collection of Georgian manuscripts of the National Library of France is MS Par.Geo.5, a book of hymns, dated to 11th, 12th and 13th centuries. The entire MS is a parchment and consists of 292 folia. The book of hymns consists of three different parts. In the scholarly literature, the first part of MS Par.Geo.5 is believed to be an autograph of George Hagiorites. The second part of the manuscript is a continuation of the first part, its transcriber is unknown, while the text is considered to be translated by monk Arsen, the spiritual father of David the Builder. The third part of MS Par.Geo.5 contains hymns also translated by Arsen with the canons by Andrew of Crete, translation of which was commissioned to Arsen by David the Builder. According to the colophon, the third part of the manuscript is copied by someone called Okrop'iri.

MS Par.Geo.5 contains palimpsest leaves (ff. 217-292). Three palimpsests have been revealed in the lower layers of the manuscript. Palimpsest I comprises 6 leaves (ff. 217-222) and is a fragment of the Jerusalem Lectionary. The text is written in an elegant, mid-size, calligraphic *Nusxuri*, capital graphemes are in *Asomtavruli*; based on palaeographic markers, the first palimpsest is conventionally dated to 10th-11th cc.

Palimpsest II has remaining 9 leaves (ff. 239-246, 248); the text is written in a right leaning, slightly elongated, miniscule *Nusxuri*, capital graphemes are *Asomtavruli* and occupy the space between two lines. Frequent abbreviations are noticeable. The manuscript is entirely washed, only couple of words can be deciphered. The second palimpsest manuscript has been conventionally identified and the remaining fragment was defined as part of a collection of hymns. Based on palaeographic markers the palimpsest is dated to 11th century.

Palimpsest III contains 61 leaves of MS Par.Geo.5 (ff. 223-238, 247, 249-292). The text is written in rounded *Asomtavruli*, with mid-size graphemes, without a remarkable style of writing. Based on palaeographic markers, the third palimpsest is dated to 10th century. Liturgical references in the text and the identification of several pages made it clear that the third palimpsest of MS Par.Geo.5 is a Jerusalem Lectionary.

Palimpsest III contains pre-Lenten and Lenten readings. Judging by the volume of the MS and the amount of washed folia that are impossible to identify, we think that the third palimpsest of MS Par.Geo.5 must have contained the full Jerusalem Lectionary.

Comparison of the palimpsest text with the preserved 10th-century lectionaries (Jerusalem, Paris, Latali, Kala, Sinai) revealed mainly variant readings. Par.Geo.5 III palimpsest, despite variant readings, belongs to the edition of the 10th-century lectionaries.